



მეცნიერებლების ცენტრი  
საქართველოსა და ზოგიერთი  
მეზობელი ქვეყნის შესახებ

უცხოური წეართები საქართველოს შესახებ  
წიგნი XLII



АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
КОМИССИЯ ПО ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ  
О ГРУЗИИ

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

СВЕДЕНИЯ МЕХМЕДА РАШИДА О ГРУЗИИ  
И НЕКОТОРЫХ СОСЕДНИХ СТРАНАХ

турецкий текст с грузинским переводом издал,  
исследованием и примечаниями снабдил  
В. Г. Чочиев

EXCERPTA HISTORIAE MEHMED RAŠID AD GEORGIAM ET  
NONNULAS FINITIMAS TERRAS PERTINENTIA

Textum turcicum cum versione georgica editid,  
introductione commentariske instruxit V. Caciev

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИРЕБА“. SUMPTIBUS «MECNIEREBA»  
ТБИЛИСИ — 1976 — THBILISIIS

საქართველოს სსრ მიცნიერებათა აკადემია

საქართველოს შესახებ არსებული უცხოური ტეროტის პომიდია

კ 46238  
2

## მეცნიერებული ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მაცობელი ქვეყნის შესახებ

თურქელი ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, გამოკვლევა და  
შენიშვნება დაურთო ვიტალი ჩოჩიევმა

შამოხველობა „მიცნიერება“

თბილისი

1976

9 (c41)

9 (47.922) (001)+90 56

გ. 634

XVIII საუკუნის თურქი მემატიანის მემედ რაში-  
დის საისტორიო თხზულება მოიცავს ოსმალეთის ის-  
ტორიის თხრობას 1660—1722 წლებში. ავტორს თა-  
მალთა სულთნის კარის ოფიციალური უამთააღმწერ-  
ლის თანამდებობა ეყავა და ხელი მიუწვდებოდა სა-  
კირო მასალებზე. რაშიდის ისტორიაში საყურადღე-  
ბო ცნობები გვხვდება საქართველოსა და მეზობელი  
ქვეყნების შესახებაც.

წიგნში წარმოდგენილია თურქული ტექსტი და  
კომენტირებული ქართული თარგმანი მემედ რაში-  
დის ცნობებისა საქართველოს და ზოგიერთი მეზო-  
ბელი ქვეყნის შესახებ.

მთავარი რედაქტორი: რ. კიკნაძე; ს. ყაუჩჩიშვილი (მთ. რედაქტორი),  
ო. ცეკიტიშვილი, ს. ჯიქია, ნ. ჯანაშია

თურქული წყაროების სერიის რედაქტორი ს. ჯიქია

ჩ  $\frac{10604}{M\ 607\ (03)-76}$  106—76

© გამოშემუშავება „მეცნიერება“, 1976.

## XVIII საუკუნის თურქი მემატიანე რაშიდი და მისი ცხობები საქართველოს უსახება

ოსმალეთის XVIII საუკუნის მემატიანის, მეჰმედ რაშიდის დაბადების წელი უცნობია. რაშიდი ყალის შვილი ყოფილა. 1692 წელს სტამბოლში დამთავრა სასულიერო სასწავლებელი, მედრე-სე, და 1704 წელს დაინიშნა ლუქტორად (მუდ्रერისად) ერთ-ერთ იმდროინდელ ცნობილ მედრესეში. სულთან აჰმედ III-ის ტახტზე ასვლის დროიდან (1703) მსა დაუვალა სულთნის კარის ოფიციალური უძმთააღმწერლის მოვალეობა. ამასთან დაკავშირებით მან მონაწილეობა მიიღო სულთნის ლაშქრობებში და ოწერა ისინი როგორც თვითმხილველმა. 1718 წელს დიდვეზირმა იბრაჰიმ ფაშამ რაშიდი ოფიციალური უძმთააღმწერლის თანამდებობაზე დატოვა და იმავე დროს დაავალა ოსმალეთის ისტორიის თხრობის გაგრძელება 1660 წლიდან, იმ ადგილიდან, სადაც წყდება მუსტაფა ნაიმას მიერ დაწერილი ისტორია. ეს დავალება მან შეასრულა. ამის შემდეგ რაშიდი კიდევ მსახურობდა სტამბოლის ცნობილ მედრესეებში და ეკავა სხვადასხვა თანამდებობები სულთნის პარზე. 1723 წელს დაინიშნა ალეპოში ყადად. იყო რუმელის ბეგლარბეგიც ის გარდაიცვალა 1735 წელს ანატოლიის სამხედრო მოსამართლელ (ყაზიისქერი) ყოფნის დროს.

რაშიდის „ისტორია“ მოიცავს 1660—1722 წწ. ამბების თხრობას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. თავისი თხზულების დასაწერად რაშიდმა გამოიყენა იმ ავტორების ისტორიები, რომლებიც XVII საუკუნის მეორე ნახევრის ამბების თვითმხილველნი იყვნენ. მისი ისტორია საინტერესოა იმითაც, რომ ავტორმა უხვად ისარგებლა სამეფო კარის ოფიციალური დოკუმენტებით<sup>1</sup>.

რაშიდის „ისტორია“ ორჯერ გამოიცა სტამბოლში. პირველად 1153 (1740—1741) სამ ტომად და მეორედ 1282 (1865—1866), ხუთ ტომად. ჩვენ ვისარგებლეთ მეორე გამოცემით<sup>2</sup>.

<sup>1</sup> რაშიდის ბიოგრაფიის შესახებ იხ. Islam Ansiklopedisi. IX cilt, İstanbul, 1960, გვ. 632—34.

<sup>2</sup> ۱۲۸۲ قاریخ راشد جلد ۱—۵ استانبول

რაშიდის „ისტორიიდან“ ამოქრებილი ცნობები ეხება საქართველოს და მეზობელ ქვეყნებსაც. კერძოდ, აქ წარმოდგენილია ცნობები, რომლებიც ეხება რუსეთის ბრძოლას შავ ზღვაზე გასასვლელად. რაშიდი დაწვრილებით აგვიწერს აზოვისათვის ბრძოლას XVII საუკუნის ბოლოს, როდესაც რუსეთი „საღვთო ლიგის“ სხვა წევრებთან (ავსტრია, პოლონეთი, ვენეცია, მალტა) ერთად აწარმოებდა ომებს ოსმალეთის წინააღმდეგ.

რაშიდი წერდა იმ პერიოდში, როდესაც ოსმალეთი დაქვეითების გზით მოექანებოდა და ვეღარ ახერხებდა ახალი ტერიტორიების შემატებას და XVII ს-ის ბოლოს ევროპაში აღრე დაპყრობილ მიწებსაც კი ჰქანავდა. ამიტომ რაშიდს, წინარე ხანის ოსმალო უამთააღმდებრლებისაგან განსხვავებით, სულთნის „უძლეველი ლაშქრის“ გამარჯვებებზე წერის ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა. პირიქით, ის პირველი ოფიციალური უამთააღმდებრელია, რომელსაც მოუხდა აებეღობათა აღნუსხევა ოსმალეთის სინამდვილეში. რაშიდი თავის ისტორიას წერდა მოვლენათა არასასიამოვნო განვითარებით შეშფოთებულ ოსმალეთის ფეოდალთა კრასის თვალსაჩრიასით. ამიტომ გასაგებია ის სიძულევილი, რომელსაც ავტორი გამოხატავს „წყეული ურჯულების“ მიმართ, როცა ეხება მათ გამარჯვებებს ვენასთან (1683), აზოვთან (1696) და სხვაგან. ოსმალეთის მარცხი „საღვთო ლიგის“ წევრებთან ომში კარლოვიცის 1699 წლის ზავით იქნა გაფორმებული. 1700 წელს სტამბოლში დაიდო ოსმალეთ-რუსეთის საზავო ხელშეკრულება, რომლითაც სულთანმა იცნო აზოვის გადასვლა რუსეთის ხელში. რაშიდი არამარტო დაწვრილებით აღწერს ამ ამბებს, არამედ თავის ისტორიაში ურთავს ხსენებულ დოკუმენტებსაც.

XVII ს-ის დამდეგიდან, როცა ის უკვე სულთნის კარის უამთააღმდებრლად იყო დანიშნული, ოსმალეთის სულთანმა, აქმედ III-მ, რევაზისტული ომი გააჩალა კარლოვიცისა და სტამბოლის საზავო ხელშეკრულების გაუქმების მიზნით. მაგრამ ოსმალო ფეოდალებს უჭირდათ დასახული ამოცანის გადაწყვეტა. ამიტომ სულთანი ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მოკავშირეების შეძენას რუსეთის, ავსტრიისა და ვენეციის წინააღმდეგ.

ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში XVII—XVIII სს. მიჯნაზე დიდი მნიშვნელობა მოიპოვა შევი ზღვის საკითხმა, რაღაცაც რუსეთის გაძლიერებამ და სამხრეთისაკენ მოძრაობამ ჩეალური სა-

ფრთხე შეუქმნა მის ბატონობას ამ ჩაიონში. ჩაშიდის ისტორიაში შეიძლება თვალი გავადევნოთ ამ საკვანძო საკითხის ცალკეულ მხარეს, რომელიც ულინდებოდა როგორც რუსეთთან ომებში და რუსეთის ელჩების ხშირ ჩასვლაში სტამბოლს, ასევე ოსმალეთ-შეციის სამხედრო კავშირში რუსეთის წინააღმდეგ, დასავლეთ ევროპის ქვეყნების: საფრანგეთის, პოლანდისა და ინგლისის ანგილუსულ პოზიციაში.

რუსეთის ომებს შევი ზღვის აუზში პირდაპირი კავშირი ჰქონდა ოსმალეთის ბატონობაში მოქცეული ბალკნეთის და ამიერკავკასიის ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლასთან.

რაშიდი აგვიწერს აგრეთვე ქვეყნის შიგნით მიმდინარე სხვადასხვა სოციალურ და სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობებს. მართალია, აღნიშნული საყითხი ცალმხრივად, გაბატონებული კლასის ინტერესების შესაბამისად, შუქლება, მაგრამ ფაქტების სიუხვე მყითხველს აღლეს მათი კრიტიკული შეფასებისა და იუტორის თვალსაზრისთან შედარების საშუალებას.

ზემოაღნიშნული საშინაო და საგარეო მოვლენების ასპექტში უნდა შევაფასოთ რაშიდის ისტორიის ის ცნობები, რომლებიც საქართველოს ეხება და ახლა იბეჭდება ქართულად.

\* \* \*

რაშიდის ცველა ცნობა ეხება დასავლეთ საქართველოს. ამით ეს ისტორია არსებითად განსხვავდება წინამორბედი ისმალო ისტორიისების „ისტორიებისაგან“, რომელთა ცნობები მთლიანად ან უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს მოიცავს. ასეთია, მაგალითად, ალის, იბრაჟიმ ფეხევის, ქათიფ ჩელების და ნაიმას საისტორიო თხზულებები. აღნიშნული მოვლენა აიხსნება შემდეგი მიზეზებით: თურქი მემატიანები, რომლებიც რაშიდს უსწრებდნენ, თავიანთ „ისტორიებში“ აღწერდნენ ირან-ოსმალეთის ომების პერიოდს XVI ს-ის დამდეგიდან 1639 წლამდე ან მის გარკვეულ მონაკვეთებს. ირან-ოსმალეთის ომები წარმოებდა მანამ, ვიდრე ოსმალეთი აღმოსავლეთ საქართველოს დაუფლებასა და იქიდან ირანის განდევნას ცდილობდა. ირან-ოსმალეთის ინტერესები საქართველოში ერთმანეთს ეჯახებოდა მხოლოდ მის აღმოსავლეთ ნაწილში. ირანი დასავლეთ საქართველოში არ უდავებოდა ოსმალეთს. აღმოსავლეთ საქართველოში კი ოსმალეთმა ირანის „უფლება“ რამდენჯერმე საცილო გახდა. XVI—XVII სს. ომების ძირითადი მიზანი ისმალეთის მერ აღმოსავლეთ საქართველოს და-

უფლება და იქიდან მეტოქის განდევნა იყო. მაგრამ 1639 წლის ზავით ოსმალეთი იძულებული გახდა საბოლოოდ ეცნო ირანის „უფლება“ ქართლ-კახეთზე. ამ პერიოდში მან ირანი დაამარცხა მხოლოდ სამცხე-საათაბაგოში, რომელიც თავის საფაშოდ აქცია.

ასეთ ვითარებაში დასავლეთ საქართველო ოსმალეთის „ყურადღების გარეშე“ დარჩა. მან პირველად საქართველოს იმ ნაწილში სცადა განმტკიცება, სადაც ირანისთვის დასწრება იყო საჭირო. ბუნებრივია, რომ ოსმალო ისტორიკოსების თხზულებებში, რომ ლებშიც გაშუქებულია XVI—XVII საუკუნის პირველი ნახევრის მოვლენები, აისახა მესხეთი და ქართლ-კახეთი — ორი აგრესორის დაპყრობლური ომების ასპარეზი. დამახასიათებელია, რომ ნაიმას საისტორიო თხზულებაში, სადაც ამბების თხრობა მოყვანილია. 1660 წლამდე, 1639 წელი წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ ცნობების ქრონოლოგიურ მიჯნას. ნაიმას გამგრძელებელი რაშიდია, რომელსაც უამთა აღწერა მიჰყავს 1722 წლამდე, ე. ი. მანამდე, ვიდრე ირანი და ოსმალეთი 1639 წლის საზაფა ხელშეკრულებას თავითათვით ურთიერთობის საფუძვლად აღიარებდნენ. 1639—1722 წლებში ოსმალეთის საგარეო პოლიტიკაში წინ წამოიწია დასავლეთ საქართველოს საკითხმა. ამ „მშვიდობიან“ პერიოდში ოსმალეთი უფრო მკვეთრად უპირისპირდება დასავლეთ საქართველოს, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ საქართველოსთან და ირანთან საუკუნენახევრიანი ომების დროს.

XVII ს-ის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს საკითხმა ოსმალეთისათვის აქტუალური მნიშვნელობა შეიძინა შავი ზღვის აუზში რუსეთის შეჭრის გამოც, რასაც ისტორიული მნიშვნელობის შედეგები მოჰყვა.

რაშიდის „ისტორიის“ მიხედვით, დასავლეთ საქართველო ანტიოსმალური ბრძოლის ერთ-ერთი ფრონტია. მისი ცნობების შესწავლას იმ დასკვნამდე მივუევართ, რომ ამ პერიოდში დასავლეთ საქართველო ოსმანის დინასტიის არ ემორჩილებოდა. აქედან სულთანი წლების განვალობაში ხარქს ვერ იღებდა, რის გამო იძულებული იყო ლაშქრობები დაენიშნა მის წინააღმდეგ. ოსმალეთის გავლენის სისუსტე ამ ქვეყანაში იქიდანაც ჩანს, რომ სულთანი ვერ იყენებდა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს რუსეთის წინააღმდეგ ომში, რომელიც XVII ს-ის ბოლოს აზოვის რაიონში მიმდინარეობდა. რაშიდის ცნობებიდან ვიგებთ, რომ სხვა ოსმალო მოხელეებთან ერთად აზოვის დამცველებისათვის დახმარების აღმოჩენა სულთნის კარს დაუვალებია გონიოს სანჯაყის ბეგისთვისაც.

მდ. ჭოროხის აქეთ კი ოსმალეთის აღმინისტრაციის არსებობა რა-  
შიდის არც ერთი ცნობიდან არ ჩანს. გონიო საქართველოსთან ოს-  
მალეთის სასაზღვრო ციხეს ჭარმოაღვენს, რომელშიც მცველებად  
ჩაყენებული არიან „მაღალი კარის იუნიჩრები“. დასავლეთ საქარ-  
თველოს ზოგიერთი ციხე ისმალებს ეკავათ. მაგრამ სულთანს ეს  
შეციხოვნები ადგილობრივი მოსახლეობის დასამორჩილებლად  
სჭირდებოდა. ამიტომ მათი რუსებთან საომრად გაგზავნა ოსმა-  
ლეთს არ შეეძლო. ამას გარდა, დასავლეთ საქართველოზე ლაშქ-  
რობების ჩატარებას ოსმალეთის ხელისუფლება ავალებდა ტრაპი-  
ზონის, არზრუმის, ჩილდირისა და ყარსის ბეგლარბეგებს.

რაშიდის ცნობები მოწმობს, რომ XVII—XVIII სს. მიზნაზე  
დასავლეთ საქართველო თავისკენ იზიდავდა ოსმალეთის მნიშვნე-  
ლოვან ძალებს. რუსეთის მიერ აზოვისა და შავი ზღვისათვის გა-  
ჩაღებული ისტორიული ბრძოლის დროს ოსმალეთი იძულებული  
იყო სახმელეთი ძალები და ფლოტიც კი გაეგზავნა დასავლეთ სა-  
ქართველოს წინააღმდეგ. მისი ცნობებიდან ირკვევა, რომ ოსმა-  
ლეთმა აგრესია დასავლეთ საქართველოს მიმართ გააძლიერა აზო-  
ვის დაკარგვის შემდეგ, როდესაც შავი ზღვის აუზში რუსეთის შე-  
მოჭრა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის დამა-  
ჩქარებელი ფაქტორი გახდა. ოსმალეთმა განიზრახა დაემორჩილე-  
ბინა ეს ქვეყანა მანამ, ვიდრე ობიექტური მიზეზებით აღმოცენე-  
ბული, რუსეთ-დასავლეთ საქართველოს დაახლოების ტენდენცია  
პოლიტიკური კაშირის ფორმას შეიძენდა. თუ ირანთან ურთი-  
ერთობაში ოსმალეთისათვის მთავარი იყო აღმოსავლეთ საქართვე-  
ლოში თავისი პოზიციების განმტკიცება, რაც მის ყურადღებას და-  
სავლეთ საქართველოს აცილებდა, რუსეთთან ურთიერთობაში წინა  
პლანზე დასავლეთ საქართველოს საკითხი ისმებოდა.

ოსმალეთთან ბრძოლას დასავლეთ საქართველო აწარმოებდა  
როგორც განმათავისუფლებელი ომების სახით, ასევე დიპლომატი-  
ური საშუალებით. რაშიდის „ისტორიაში“ ეცვლებით ერთ საინტერე-  
სო ეპიზოდს ოსმალეთ-გურიის ურთიერთობიდან, რომელიც 1702—  
1703 წწ. მომხდარა. მასში მოთხრობილია გურიის მთავრის მიერ  
სტამბოლს გაგზავნილი ელჩობის წევრების მიმართ ოსმალეთის  
ხელისუფლების დამოკიდებულების შესახებ. გურიელის ელჩობა  
დააპატიმრუს იმის გამო, რომ მისი „ხელქვეითი თავკაცები შეთან-  
ხმების და პირობის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ“. იმავე ცნობი-  
დან ჩანს, რომ ოსმალეთში არაენონიერად ჩათვალეს გურიელის  
მიერ ქალ-ვაჟების საჩუქრის სახელწოდებით გაგზავნა. ეს უკა-

ნასკრელნი სტამბოლში საჭარო გაქრობით დაპყიდვეს და თანხა გურიიდან მიღებული ჯიზიას სახით შეიტანეს ხაზინაში. ამ ფაქტში გამოიხატა ოსმალეთის რეაქცია იმ კვეყნის მიმართ, რომელმაც ხარკის ნაცვლად საჩუქრები მიართა სულთანს, რაც სტამბოლში შეაფასეს როგორც გურიის მთავრის თვითნებობა და არა ყმადნაფიცის მოვალეობის შესრულება სიუზერენის წინაშე.

ყურადღებას იქცევს რაშიდის ცნობა დასავლეთ საქართველოს ციხეების შესახებ. 1703 წლის ამბების თხრობაში მას აღნიშნული აქვს, რომ ქართველებმა ოსმალებს წაართვეს მათ მიერ აღრე დაკავებული ციხეები. ამის შემდეგ სულთანმა ბრძანა, რომ „აჯანყებულთა ხელში ჩაგარდნილი ციხეები განთავისუფლების შემდეგ ძირდესვიანად მოეთხარათ“. ოსმალეთი აღრე თვითონ იყო დაინტერესებული დასავლეთ საქართველოს ციხეების ფლობით, რომლებიც მისი დამპყრობლური პოლიტიკის ტექნიკურ საყრდენებს წარმოადგენდა. მაგრამ ახლა ქართველები ამ ციხეებს იღებენ და მათ თავიანთი განმათავისუფლებელი ბრძოლის ბაზებად და თავდაცვის საშუალებად აცილენ. სულთნის ბრძანება დასავლეთ საქართველოს ციხეების დანგრევის შესახებ მოწმობდა ოსმალეთის სისუსტეს: მას არ ჰქონდა ყველა ციხის შენარჩუნებისა და მათი გამოყენების იმედი. ამიტომ ოსმალებმა გადაწყვიტეს ციხეები, საჭიროების შემთხვევაში, აეგოთ მხოლოდ ბათუმისა და ბალდაცის რაიონებში, რათა შიგ საკმაო რაოდენობით ჩაეყენებინათ მცველები. ქართველების სახალხო-განმათავისუფლებელმა ბრძოლამ ოსმალეთი აიძულა შეემცირებინა პატარა ციხეების რაოდენობა, რათა მოეხდინა მეციხოვნეთა კონცენტრაცია დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილებში.

რაშიდის ცნობებიდან ჩანს, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას ქართველებთან ერთად აწარმოებდნენ აფხაზებიც.

რაშიდის „ისტორიაში“ ცნობები გვხვდება ახალციხის საფაშოს შესახებაც. პირის 1091 წლის (1680—1681) ამბების თხრობაში მოიპოვება უწყება ახალციხის ფაშის, ასლანის. შესახებ. ამ წელს ასლან ფაშა სულთნის ბრძანებით მოუკლავს არზარუმის ვალის, იბრაჟიმ ფაშას. მისი მოკვლის მიზეზები რაშიდის „ისტორიაში“ ბუნდოვნად მოჩანს. მიუხედავად ამისა, თურქულ ნარატიულ წყაროში დაცული ცნობა ავსებს ეახუშტი ბატონიშვილის ცნობას სსენებული ფაშის სიკვდილით დასჯის შესახებ.

ქართული და თურქული წყაროებიდან იჩვევეა, რომ სულთანი უკმაყოფილო დარჩა ახალციხის ფაშის საქმიანობით იმ ამბებ-

თან დაკავშირებით, რასაც ამ დროს აღგილი ჰქონდა დასავლეთ ხა-  
ქართველოში. ვახუშტის სიტყვით, ახალციხის ფაშებს „აქუნდათ...  
ბრძანება ყოველთა საქმეთა ზედა იმერეთისათა და მართვიდნენ  
ესენი“<sup>3</sup>. სულთანი ახალციხის საფაშოს უყურებდა, როგორც თ-  
მალეთის პოლიტიკის ინსტრუმენტს დასავლეთ საქართველოს მი-  
მართ.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ახალციხის ფაშები ამ პერიოდში  
ყოველთვის არ იყვნენ მათვის დაკისრებული მოვალეობის ლო-  
ალური შემსრულებლები. სწორედ ამიტომ სულთანს იყნიჩრები  
ჰყავდა ჩაყენებული ახალციხეში, რომლებსაც თსმალეთის გავლენა  
უნდა განემტკიცებინათ ამ მხარეში. ასლან ფაშას დანაშაულად  
სულთანმა მიიჩნია ურთიერთობა ქართლის მეფე ვახტანგ V-თან და  
მის ძე არჩილთან. ახალციხის ფაშამ არ აღკვეთა იმერეთის  
ტახტზე არჩილის ასვლის ცდები, რისი შედეგიც იყო ქართლის  
სამეფოს გავლენის გაძლიერება დასავლეთ საქართველოზე. ქარ-  
თლის სამეფო ხდებოდა თსმალეთის გეგმების ხელის შემშლელი  
დასავლეთ საქართველოში.

ქართლის სამეფოს გაძლიერება აშფოთებდა აგრეთვე ირანის  
შაპს. XVII საუკუნის 60—90-იან წლებში ირანსა და თსმალეთს  
შორის რამდენჯერმე მოხდა ელჩობათა გაცვლა. მოლაპარაკების  
მიზანი იყო ორი მუსლიმანური სახელმწიფოს შეთანხმებული კურ-  
სის შემუშავება ქართლის სამეფოს წინააღმდეგ.

ირან-თსმალეთის ურთიერთობის ასეთ ეპიზოდს წარმოადგენს  
რაშიდის „ისტორიიდან“ თარგმნილი აღგილი, საღაც აღწერილია  
ირანის ელჩის ჩასვლა სტამბოლს ჰიჯრის 1103 წლის (1691 წლის  
24 სექტემბერი—1692 წლის 11 სექტემბერი). ეს იყო განჯის  
გმართველი ქელბ ალი ხანი. რაშიდის ცნობით, აღნიშნული ელჩო-  
ბა დაკავშირებული იყო ახალი სულთნის, ამერე მეორის ტახტზე  
ასვლასთან. ქელბ ალი ხანის მისის ფაქტობრივი მხარე უკეთაა  
განხილული ქართულ წყაროებში (ვახუშტი ბატონიშვილისა და  
გორგავანიძის ისტორიები). მისი ამოცანა იყო ერთობლივი ღონის-  
ძიების შემუშავება ქართლის სამეფოს აქტივობის გასანელებლად  
დასავლეთ საქართველოში. რაშიდთან გაშუქებული ელჩობის გა-  
რეგნული მხარე: ქელბ ალი ხანის პატივით მიღება, საჩუქრების  
გაცვლა ორ სამეფო კარს შორის და სხვა დეტალები შეესაბამებო-  
და ირან-თსმალეთის მშენილობიან ურთიერთობას 1639—1722

<sup>3</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭი-  
ნაძის გამოც., თბილისი, 1913, გვ. 258.

წლებში. ორი მუსლიმანური სახელმწიფო სათანადო დიპლომა-ტიური ღონისძიებებით ხელს უშლიდა საქართველოს პოლიტიკური ერთეულების დაახლოებას, აღმავებდა მის ფეოდალურ დაქ-საქსულობას. მაგრამ ირან-ოსმალეთის „გულწრფელი მეგობრობის“ გარეგნული გამოვლინებანი არ ნიშნავდა მათ შორის წინააღმდეგობების მთლიანად აღმოფხვრას მშვიდობიან პერიოდში. ასეთ ვითარებას კარგად გამოხატავს ვანის მირმირანის, იუსუფ ფაშას შეშფოთება, რომელმაც 1065 წელს (1654 წ. 11 ნოემბერი—1666 წ. 31 ოქტომბერი) სულთნის კარს შეატყობინა ვანის რაიონში მომხდარი მიწისძვრის შესახებ. ვანის მირმირანი შეუშფოთებია მიწისძვრის გამო ვანის ციხის ერთი კოშკის დანგრევას. რადგანაც ეს ციხე ირანელების საზღვრებთან ახლოს მდებარეობდა, ფაშამ მისი სასწავლოდ შეკეთება მოითხოვა. აქედან ჩანს, რომ ოსმალეთის სამხედრო-ტექნიკური დასუსტების შემთხვევაში ვანის მმართველს ირანის მხრივ 1639 წლის ზავის პირობების დაცვა საეჭვოდ მიაჩნდა. ირანსა და ოსმალეთს შორის 1639 წელს დადებულ ზავს არც ერთი მხარე განიარაღების საკმაო საფუძვლად და მშვიდობის მტკიცე გარანტიად არ თვლიდა.

\* \* \*

რაშიდის „ისტორიაში“ დაცულია საინტერესო ცნობა ჩილდი-რის ეიალეთის (ახალციხის საფაშოს) აღმინისტრაციული დაყოფის შესახებ. რაშიდი გვაუწყებს, რომ 1702—1703 წწ., როცა და-სავლეთ საქართველოზე აჯანყებულთა დასასჯელად ლაშქრობა დაიწინა, მასში მონაწილეობის მიღება დაეკლა ახალციხის ფა-შას ისპაქსაც, რომელსაც თავის ვილაიეთიდან მოლაშქრეთა გარ-კვეული რაოდენობა უნდა გამოეყვანა. ამასთან დაკავშირებით რა-შიდი ახალციხის ფაშის ლაშქრის წევრებს შორის ასახელებს ჩილ-დირის ვილაიეთის თოთხმეტ სანჯაყ ბეგს, რომლუბიც იურთლუკის და ოჯაფლიკის მფლობელებად იწოდებიან<sup>4</sup>.

ტერმინები იურთლუკი და ოჯაფლიკი ოსმალეთის აღმინისტ-რაციულ სისტემაში იხმარებოდა დაპყრობილ ქვეყნებში ადგი-ლობრივი ფეოდალებისათვის მემკვიდრეობით მფლობელობაში დატოვებული მიწების აღსანიშნავად. სამცხე-საათაბაგოში ასეთი, პრივილეგირებული, სანჯაყების არსებობა ცნობილია სხვა თურ-ქული წყაროებიდანაც, კერძოდ, XVII ს-ის პირველ ნახევარში

<sup>4</sup> რაშიდი, ისტორია, ტ. II, გვ. 580—581.

შედგუნილ კოჩი ბეი გორიჯელის რისალედან<sup>6</sup>. თურქული დოკუ-  
მენტური და სხვა მასალების შესწავლიდან ჩანს, რომ ასეთი მიწე-  
ბის მფლობელნი სარგებლობდნენ საგადასახადო იმუნიტეტით და  
სულთნის წინაშე მათი მოვალეობა ლაშქრობაში მონაწილეობით  
შემოიტარებულიდან<sup>7</sup>. რაშიდის ცნობა იმას მოწმობს, რომ  
XVIII ს-ის დამდეგსაც ჩილდირის ვილაიეთი თსმალეთის მრავალი  
ვილაიეთისაგან განსხვავდებოდა აღნიშნული თავისებურებით.  
იერთლუკების მფლობელები სულთნის ჩვეულებრივ მოხელეებს  
არ წარმოადგენდნენ. ისინი სარგებლობდნენ მიწის მემკვიდრეო-  
ბით ჭერის უფლებით, რისი ფორმალური დადასტურება ყოველი  
ახალი სულთნის მიერ ნიშნავდა გამაპშადიანებული ქართველი  
ბეგების პრივილეგირებულ მდგომარეობის ცნობას. სალაშქრო  
მოვალეობის შესრულებლობის შემთხვევაშიც კი თსმალეთის ხე-  
ლისუფლება იძულებული იყო ასეთი სანჯაყბეგის იურთლუკი მისი.  
შვილის ან ნათესავისათვის გადაეცა<sup>8</sup>. მაგრამ რაშიდის ეს ცნობა  
ერთ შენიშვნას იმსახურებს. ჩილდირის ვიალეთის თოთხმეტი სან-  
ჯაყიდან ყველა არ ყოფილი იურთლუკი. პრივილეგირებული სან-  
ჯაყი მათგან მხოლოდ ოთხი იყო. შესაძლოა შეცდომა რაშიდის  
„ისტორიის“ გამომცემლების მიერაა დაშვებული.

\* \* \*

რაშიდის „ისტორიიდან“ ამოლებული აღილები საინტერესოა  
იმ მხრივაც, რომ ისინი ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ თსმალეთის  
სახელმწიფოს ისეთ უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციაზე, როგო-  
რიც იყო რეგულარული ჯარი. წარმოდგენილი ნაწყვეტებიდან  
ჩანს, რომ სულთნის რეგულარულ ჯარს უკვე ამ დროს დაკარგუ-  
ლი ჰქონდა თავისი საბრძოლო თვისებები. რაშიდი რამდენჯერმე  
აღწერს ისეთ შემთხვევებს, როცა იენიჩები უარს ამბობენ „მა-  
ღალი ბრძანების“ შესრულებაზე. მაგალითად, 1696 წელს ჯანიკელ  
იენიჩების თავი აურიდებიათ ბრძანებისათვის და ნაცვლად იმისა,  
რომ აზოვის ციხეში რუსების მიერ ალყაშემორტყმულ თსმალებს  
მიშველებოდნენ, ციხე დაიკავეს ჯანიკის რაიონში და სახელმწიფო  
ქონებასაც დაეუფლნენ. მთავრობამ განკარგულება გასცა მათი ქო-  
ნების ხაზინის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. შეიძლება ვი-

<sup>6</sup> Koç Bey Risalesi, İstanbulbul, 1939, დ. 102.

<sup>7</sup> გ. ჩოჩიე კ, სამცხე-სათაბაგო მე-17 ს-ის შეორე მეოთხედში,  
სტალინიზის პერიოდი, ინ. შრომები, ტ. 6, 1958, გვ. 330—36.

<sup>8</sup> Mıslıssal Osmanlı tarihi, c. III, İstanbulbul, 1959, გვ. 1534, 1541.

ფიქტოთ, რომ ხსენებულ იენიჩრებს თავის ანგარებითი მიზნებისა—თვის იყენებდა ჯანიქის სანჯაბეგი ჰასან ფაშა, რომელსაც სიკვდილით დასხა მიესაჭა აზოვის ციხისათვის ხე-ტყის მასალის დაგვიანებით გაგზავნის გამო.

არანაკლებ საინტერესოა მეორე ცნობა, რომელიც 1702—1703 წწ. საქართველოზე სალაშქროდ დანიშნულ რეგულარულ ჯარს ეხება. რაშიდის მონათხოვიდან იჩკვევა, რომ საქართველოზე სალაშქროდ გამზადებული იენიჩრები და მძიმედ შეჭურვილი მხედრები ხელისუფლებას აუმხედრიდნენ იმ დროს, როდესაც მათ სტრამპოლის ნაესადგურში ჩამომდგარ გემებში ანაწილებდნენ. ამბობების მიზეზს წინა თვეების ჯამაგირის დაგვიანება წარმოადგენდა. ამბოხებულებმა უარი განაცხადეს საქართველოზე სალაშქროდ წასკლაზე და ამ დავალების შესრულების პირობად ჯამაგირის მიღება წამოაყენეს. რაშიდს დამაჯერებლად აქვს გადმოცემული ამ ამბით გამოწვეული შიში და დაბნეულობა, რამაც მმართველი წრეები მოიცავა. გაბატონებული კლასის წარმომადგენლები ამბოხებულ ჯარისკაცებს „საძაგლ მდაბიოებს“ უწოდებდნენ, რითაც მათ არსებული წყობილებისათვის საშიშ სოციალურ მოძრაობათა მონაწილეებთან ათანაბრებდნენ. დამოწმებული ფაქტები წარმოდგენას გვაძლევს აგრეთვე ოსმალეთის ხაზინის რეალურ მდგომარეობაზე. მას არ გააჩნდა რეგულარული ჯარისათვის კუთვნილი სარგოს გაცემის შესაძლებლობა. პოლიტიკური და ფინანსური კრიზისის პირობებში ფეოდალთა კლასის მმართველ წრეებს უქმაყოფილ ჯარის გაყვანა გარეშე ქვეყნების, ამ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს, დასაჩრდევად საშიში საშინაო ეითარებისათვის თავის გართმევის საშუალებად ეჩვენებოდათ. რაშიდის ისტორიის ეს ფრაგმენტი თვალნათლივ გვიხატავს გაოგნებული ოსმალო მოხელეების „სახელშითოებრივ სიბრძნეს“ გამწვავებული შინაპოლიტიკური კრიზისიდან გამოსალის ძიების დროს. სიინი თავს იტეხდნენ იმაზე ფიქრით, თუ როგორ გაეყვანათ საქართველოზე სალაშქროდ სტამბოლში ამბოხებული ჯარისკაცები.

რეგულარული ჯარის ორგანიზაციის მოშლის გამო დასავლეთ საქართველოზე ლაშქრობის ჩატარების საქმეში მთავარი როლის შესრულება არარეგულარულ, ფეოდალურ, ლაშქარს ეკისრებოდა. რაშიდის ცნობებიდან ჩანს, რომ 1702—1703 წწ. აჯანყებული ქართველების წინააღმდეგ განზრახულ ლაშქრობაში სულთნის ბრძნებით გათვალისწინებული იყო იენიჩრების, ნიჩბიანი და იალქინიანი გემების, არჩრუმის, ტრაპიზონის, ყარსის, ჩილდირის ბეგლარ-

ზეგების დაქვემდებარებაში მყოფი მიწათმფლობელი ფეოდალები-სა და, აგრეთვე, ყველას მონაწილეობა („ვისაც კი გააჩნია თოფი“). სულთნის ფირმანის ეს ადგილი, რომელიც რაშიღისათვის მხოლოდ ოფიციალური წყაროებიდან იყო ცნობილი, მოწმობს, რომ ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლება დასავლეთ საქართველოზე (ურწმუნოთა ქვეყანაზე) ლაშქრობას საღვთო ომის ლოზუნგით ანხორციელებდა. რათა მასში მონაწილეობის მიღება მდაბიო მუს-ლიმების ფართო მასში მაცონებელ და ამ უკანასკნელთა კლასობრივი ბრძოლისაგან აცდენის საშუალებადაც ექცია. ოსმალეთის ფეოდალთა კრასი საშინაო კრიზისიდან გამოსავალ გზებს საგარეო ომებსა და მეზობელი ქვეყნების ძარცვაში ეძებდა. ამდენადვე, ცხადია, რომ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა აღრმავებდა ოსმალეთის ჩამორჩენილი ფეოდალური საზოგადოების კრიზისს, პორტუგლა და თავისკენ იზიდავდა მას ძალებს. მართალია, დასავლეთ საქართველო არ ყოფილა რუსეთისა და აღმოსავლეთ ეკრაპის სხვა სახელმწიფოების ანტიოსმალური კავშირების ოფიციალური წევრი, მაგრამ თავისი ბრძოლით იგი სექტორულ დახმარებას უწევდა რუსეთს, პოლონეთსა და უკრანას, რომელთა ინტერესები შავი ზღვის აუზში ერთიანდებოდა ოსმალეთის წინა-აღმდეგ.

## ლაშილის „თარიხ“-ის ქართველი თარიხი

1065 (1654 წლის 11.XI—1655 წლის 31.X) წელი  
ფილი მიღისძგრის შედეგად ვანის ციხის  
ზოგი აღგილის დანგრევა

ვანის ერალეთის მირმირანის<sup>2</sup>, სეიდ იუსუფ ფაშას არზა მოვიდა. მასში ნათქვამი იყო, რომ ალლაპის ნებით მომხდარი დიდი მიწისძერისაგან დაინგრა ვანის ციხის ერთი კოშკი და ზოგი აღგილი. რადგანაც ხსენებული ციხე რაფიზთა<sup>3</sup> ტომებსა და ქურთებს შორის მდებარეობს, ხოლო ადგილობრივმა მოსახლეობამ სიმშვიდე დაკარგა, ამიტომ მაღალი სასახლის ურთ-ერთი კაფუჭი ჩაში<sup>4</sup>, კარაკაშ ალი დაინიშნა და გაიგზავნა დანგრეული აღგილების შესაკეთებლად და გასამაგრებლად ისე, როგორც აღრე იყო.

ტ. I, გვ. 102.

1091 (1680 წლის 2.II—1681 წლის 21.I) წელი  
ახალციხის მირმირანის, ასლან ფაშას, მოკვლა

ვინაიდან ახალციხის ბეგლარბეგი<sup>5</sup>, ასლან ფაშა, ქონების შეძენის სურვილით საქართველოს ქვეყანაში მღელვარებას იწვევდა და ამბოხებს და არეულობის მოთავე იყო, არზრუმის ვალიში<sup>6</sup>, იბრაჟიშ ფაშამ, მისდამი გაგზავნილი სამეუფეო წერილის შესაბამისად, არ დააყოვნა (ასლან ფაშას) მოკვლა. მისი მოჭრილი თავი სამეფო კარის წინ მიწაზე გავორებით დაამტირეს.

ტ. I, გვ. 363.

ტახტზე ბედნიერების მომასწავებელ ასკლასთან დაკავშირებით, ირანის შაპის მიერ ელჩად წარმოგზავნილი იქნა განჯის მმართველი, ქელბ ალი. როცა სატახტომდე მიაღწია, გაიცა (მისი სატახტოში შესვლის) ნებართვის მინიჭების სამეუფეო ფირმანი, რომლის შესაბამისად [ხსენებული ელჩი] ღვთივდაცულ ედირნეში<sup>8</sup> შევიდა. ღრმულად იქნა მიღებული ზომები, რათა, სამეუფეო კანონის შესაბამისად, [იგი] უზრუნველეყოთ აუცილებელი სახსრით და ბინით. მას შემდეგ რაც რამდენჯერმე დანაყრდა და ნაირნაირი სიკეთით გაბედნიერდა, მეორე ჯუმადის მერვე დღეს (1692 წლის 26 თებერვალი) მსოფლიოს ტახტის საფეხურის [წინაშე] ძირს დაემხო, ფალიშაპს თავისი წერილი გადასცა და მიართვა ირანის ქვეყანაში განთქმული ხუთი ჩორთიანი ცხენი, ორმოცდახუთი ირანული ძეირუასი ქვებით მოოჭვილი ფარი, მურასა ხმალი და სხვა საჩუქრები.

ტ. II, გვ. 182.

სამეუფეო ტარილის გადაცვა ირანის მლჩისათვის  
უავგუსტომესი (მიღების დროს)

ამას წინათ ბედჭეთილ გამეფებასთან დაკავშირებით ჩამოსულ ირანელ ელჩს, ქელბ ალი ხანს მოეცა ირანის ქვეყანაში კვლავ დაბრუნების ნებართვა. რადგანაც შაპისათვის გასაგზავნად გამზადებული სამეუფეო წერილის გადაცემა [ირანელი ელჩებისათვის] ძველი ჩერულების მიხედვით, სამეუფეო დარბაზობის ღროს ხდება, ამიტომ [მდინარე] ღუნაის ნაპირზე კასრად წოდებულ აღვილზე, [სადაც მაშინ სულთანი იმყოფებოდა], ედირნის სასახლის მსგავსი კარავი გამართეს და დიდებული რამაზანის მეცამეტე დღეს (1692 წლის 30 მაისი) [ირანის ელჩი ქელბ ალი ხანი] საპატიო რაზმის თანხლებით კონალიდან<sup>9</sup> (იქ) გადაიყვანეს.

როდესაც [შაპის ელჩმა] დიდი ვეზირის თანდასწრებით თავი დაუკრა სამეფო უზანგს<sup>10</sup> და მას შემდეგ, რაც საპატიო ხალათის ჩაცმით ქერ დიდი ვეზირის ალმატებულება იქნა გაპატიოსნებული, ხსენებული ელჩიც დაუყოვნებლივ [ფადიშშამა] სიასამურის ქურქით შეიწყოლა. (მისი შემდეგ) გაიცა ფირმანი იმის შესახებ, რომ მაღალი სამეუფეო წყალობიდან საჩუქრის [ასახულის თვეს]

სამგზავრო ხარჯების ანგარიშში მიეცათ თორმეტი ათას ხუთასთ  
ყურუში<sup>11</sup>, ხოლო მისი თანმხლებლებისათვის აგრძოვე ხუთი ათას-  
ხუთასი ყურუში, [ელჩის] სულ უფროსი ხაზინადრისათვის ხუთი  
ათასი ყურუში, ხოლო მისი თანმხლებლისათვის ორი ათასი, რაც  
ერთად აღებული შეადგენს ოცდა ხუთი ათას ყურუშს, და ორმ  
ნება მიეცათ [ელჩისათვის] დაბრუნებულიყო თავის ქვეყანაში.

ჭ. II, გვ. 192.

1108 (1696 წ. 31.VII—1697 წ. 19.VIII) წელი  
გოსაკოვის თავდასხმა აზოვის ციხეში

მოსკოველი ურჩულოები აზოვის ციხეში თავდასხმის ოცნებაშ  
შეიპყრო. ამაზე ადრე, 1106 წელს (1694 წ. 22 აგვისტო—1695 წ.  
11 აგვისტო), [აზოვის ციხეს] შემოწყვენენ და 86 დღიანი გარე-  
მოცვის შემდეგ ბოროტებასა და სიავვეს სჩადიოდნენ. შემდეგ ხელ-  
ახლა მათი ჯოქოხეთში წასასვლელი ურიცხვი ლაშქარი ხსნებულ  
ციხეს თავს დაესხა და 1107 წლის ზულ ყადის თვეს მეორე დღეს  
(1695 წლის 14 ივნისი) გარემოცვა დაიწყეს. (ამ) უკანასკნელი გა-  
რემოცვისას ხსნებული [ციხე] ზარბაზნების უუმბარების დაშე-  
ნით დაზიანებული იქნა. ამასთან ისინ, ვინც ბრძოლის მსვლელო-  
ბაში მოწამებრივ სიკედილს გადაურჩნენ, შეცოტავებული და უნარ-  
დაკარგული იყვნენ. როგა აშეარა და ცხადი გახდა. რომ გარე-  
მოცვას ვერ გაუძლებდნენ, საომარი სიმაგრეების და დაზიანებული  
კედლების სასწავლოდ შესაქეთებლად და ციხის შიგნით მყოფი  
მცემლების საომარი იარალის, ზარბაზნების საწყობის შენახვის  
მდგომარეობის და მოელის საჭიროებათა გასაგებად [სტამბოლი-  
დან] გაიგზავნა მუბაშირი<sup>12</sup>, რომელმაც უდარდებლობა და უთა-  
ურობა გამოიჩინა. გარდა ამისა, მაღალი სახელმწიფოს<sup>13</sup> მხრიდა-  
ნაც, სისწავე არ გამოიჩინეს. ციხისათვის გარედან დახმარების  
აღმოსაჩენად რომ იყვნენ დანიშნული ვეზირი ალი ფაშა, არზრუ-  
მის ვეზირი ბაკი ფაშა და ვეზირი, ხაზინადარი ჰასან ფაშა, აგრე-  
ოვე, ციხეში შესვლის შიზნით (მისი მცემლების დასახმარებლად)  
გამოყოფილი ტრაპიზონის ვალის, ვეზირ კულაილი კავუზ აპმედ  
ფაშას გაქცევის შემდეგ მის [მაგიერ ამ დავალების შესასრულებ-  
ლად] დანიშნული ქეთხედა<sup>14</sup> ჰასან ფაშა თავისი კარის ხალხით  
და, განსაკუთრებით, მისი აღმატებულება, მაღალის სეული ხანი<sup>15</sup>,  
არ მისულან გარემოცვის ადგილამდე. [იგი] საჭაროდ დამარცხე-  
ბული მოულოდნელად უკან დაბრუნდა. ურჩულოებმა ისარგებ-

ლეს მათი წასკლით და ხელთ იგდეს [ციხის მახლობლად მდებარე] მნიშვნელოვანი თავისუფალი ადგილები. ამის შემდეგ იფიქრეს, შესაძლებელია საიდანებ გამოელი ლაშქარი მოვიდეს [ჩვენს მიერ] უკუგდებული ან ციხის შიგნით განწირულ მდგომარეობაში მყოფ ნაწილთან შესაღწევადო, რის გამო ოცდარვა დღე მოანდომეს თხრილების და სიმაგრეების მომზადებას და წესრიგში მოყვანას. მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგნენ [ციხის] გარემოცვას. როგორც [ზემოთ] განმარტებული იყო გარემოცული ციხის დასახმარებლად დანიშნული იქნენ აზტრუმის ვალი ბაკი ფაშა, [აგრძელე] ალი ფაშა და კილაული აპმედ ფაშას ქეთხულა, ჰასან ფაშა. როცა მათ სხვა მოლაშქრეებთან ერთად ხსენებული ციხის მახლობლად მდებარე, ქვიშად წოდებულ ადგილამდე მიაღწიეს, დიდი ლონე და ძალა დახარჯეს, რათა ლაშქრის ერთ ნაწილს [მაინც] შეეღწია ციხის შიგნით. მაგრამ სარწმუნოების მტრის მიერ წინასწარ მომზადებული თხრილების გადალახვა ამ საშუალებით შეუძლებელი აღმოჩნდა. ვინაიდან ციხის კაშები გარემოცვის დაწყების შემდეგ დანგრეული იყო, ხოლო ციხის შიგნით მყოფ მეომრებს, რომლებმაც ისლამისათვის ბრძოლას და მტრებისგან თავის დაცვას გულმოლენება და უნარი შეალიეს, წინააღმდეგობის ძალა დაკარგული ჰქონდათ, წარმართების<sup>16</sup> ბრძომ იფიქრა, წარმატებას მივაღწევთ ციხის წინააღმდეგ ზარბაზნების, თოფებისა და საომარ საშუალებათა გამოყენების გზითთ. ამ მიზნით მათ დაიწყეს მიწის მოთხრა-მოქეტა და გააკეთეს ყრილი, რომელიც სიმაღლით ციხის კედელს გაუსწორდა. რაკი ციხეში მყოფ ოთხას თუ ხუთას მუსლიმ მეომარს [გარედან] დახმარების იმედი გადაუწყდათ, მათმა გამძლეობამ და სიმედგრემ იყლო და ძალაუნებურად სული დაელიათ. ასე 1108 წლის დიდებული მუპარემის მეშვიდეს დღეს (1696 წლის 6 აგვისტო) შენდობის აღთქმის გზით ციხე თავდამსხმელი ურჯულოების ხელში გადავიდა.

როცა ამ გულშემზარევი ამბოს ანარეკლმა მაღალ სახელში-ფომდე მიაღწია, გაიცა ფირმანი იმის შესახებ, რომ მოეკლათ კილაულის ქეთხულა, ჰასან ფაშა, და გონიოს ბეგი, რომლებსაც (აზოვის) ციხისათვის დახმარების აღმოჩენა ჰქონდათ დავალებული, მაგრამ დროზე გამოუცხადებლობით ბრძანება დაარღვიეს, ავრეთვე, ჯანიეის სანჯაყის<sup>17</sup> მფლობელი, ჰასან ფაშა, რომელმაც აზოვის ციხეს დროზე არ გაუგზავნა ხე-ტყის სააღმშენებლო მასალა.

გაიცა აგრეთვე ბრძანება იმის შესახებ, რომ სახელში-იფონ ხაზინას დაესაკუთრებინა კილაური აპმედ ფაშას მთელი ქონება,

ვინაიდან იგი დანიშნული იყო ხსენებული ციხის დასაცავად, მაგრამ ზემოხსენებულ პირებთან ერთად, თუ უფრო ადრე, [თავი აარიდა ამ დავალების შესრულებას და] გაიქცა.

ამას გარდა, ვინაიდან ბაზიერთუბუცესის შუამდგომლობით აზოვის ციხის დასაცავად დანიშნულმა ჭანიკელმა იენიჩერებმა<sup>18</sup> ბრძანების შესრულებას გული არ დაუდეს და უდარდელობა გამოიჩინეს, ამიტომ მათი [იენიჩერების] კერის უმცროსი ჩაუში<sup>19</sup> მუბაშირად შეარჩის და გაგზვნეს, რათა სახელმწიფო ხაზინის სასაჩვენებლოდ დაუფლებოდა მათ მიერ დაკავებული ციხის დროშის, ქონებას და ნივთიერ სახსარს.

ტ. II, გვ. 375—378.

1114 (1702 წლის 28.V—1703 წლის 16.V) ზელი  
ახალი ციხის [მშენებლობის] დაწყება აკინძიშვილი

აზოვის მხრიდან მტრის გემებს [შავი ზღვის მიმართულებით] მოძრაობის ხელსაყრელი პირობები რომ არ ჰქონოდათ, გადაწყდა ახალი ციხე აეგოთ ყირიმის მხარეში, ქერჩის ყურის მახლობლად. აქინდის კონცხის სახელით ცნობილ ადგილზე. [ხსენებულ აღგალას] წყლის დაბრულებასთან ერთად სათოფურები გაკეთდა, რომლებშიც დაიდგა ორმოცდაოთხი თყის და კიდევ უფრო მეტი წონის ყუბბარების მსროლელი, გემებიდან მოხსნილი ზარბაზნები. [გარდა ამისა, ქერჩის ყურეში აზოვის მხრიდან] ნავის შესვლის ალკვეთის მიზნით დროზე დაიჭირეს თაღარიგი [ციხის] ნაკლოვანებათა მოსაწესრიგებლად, რათა ხსენებული ციხე უზრუნველეყოთ აუცილებელი რეინით სამაკოს მხრიდან, მეცულებით ვალახეთიდან და მოლდავეთიდან, მუშა-ხელით ახლომახლო დაბებიდან, ტყის მასალით ჩერქეზთის მთებიდან, ზოგიერთი ხის მასალის საგნებით სინოპის მხრიდან და სხვა საჭირო მასალით თვით სატახტოდან. ყოფილი ბოსტანჯი ბაში<sup>20</sup>, სკუტარელი მუსტაფა აღა საზღვაო ნაგებობათა გამგებლად დანიშნეს. ციხის ასაგებად, მის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და [აგრეთვე] ციხის გარემონტველ [ზღვის] ადგილებში [მტრის] გემის გავლისათვის ხელის შეშლის მიზნით დიდი ყუთებით ზღვაში ვებერთელა ქვები ჩაყარეს. სამეფო ფლოტი, აგრეთვე, დასახმარებლად ხსენებული ადგილისკენ [წასასვლელად] დაინიშნა.

(ტ. II, გვ. 549—550).

## გურიელის ელჩის დაპატიმრება

ვინაიდან ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ერთ-ერთი ქვეყნის, გურიის, მთავრის ხელვებითი თავკაცები შეთანხმების და პირობის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, ამიტომ მისი მხრიდან ელ-ჩობის სახით მოსული რამდენიმე ქართველი სადალჯინის ციხეში გაგზავნეს და პატიმარჟვეს, ხოლო საჩუქრის სახელწოდებით ჩაყვანილი რვა ვაჟი და ოთხი ქალწული საჭარო ვაჭრობით დაჰყიდეს. ხსენებული ჯგუფის [გაყიდვის გზით შილებული] ჯიზი<sup>21</sup> ხაზინას გადაეცა სარწმუნოების მიზნებისთვის.

ტ. II, გვ. 561.

## ამგავი საჭართველოზე ლაშქრობისა და ისლამის ლაშქრის დანიშვნის შესახებ

ვინაიდან ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ქვეყნების მო-სახლეობიდან დადიანის, გურიელის და აფხაზი აგანყებულები რამ-დენიმე წლის განმავლობაში უარს ამბობდნენ ჯიზის გადახდაზე და, ამას გარდა, თავს ესხმოდნენ და ძალას იყენებდნენ ისლამის ქვეყნების ზოგიერთი საზღვრის მიმართ, [ამიტომ] მოწონებული იქნა გადაზყვატილება ამას წინათ ბაბა დალისკენ დანიშნული ვე-ზირის ქუსხი ხალილ ფაშასთვის არზერუმის ეიალეთის ბოძებისა და საქართველოზე სალაშქროდ შერჩეული ისლამის ლაშქრის სარდ-ლად დანიშნის შესახებ.

გაიცა ბრძანება, რომ მთავარსარდალ, ზემოხსენებულ ვეზირ ქუსხი ხალილ ფაშასთან შეიკრიბონ და მის სიტყვასა და ბრძანე-ბას დაქმორჩილონ: ტრაპიზონის ბეგლარბეგი სალიპ ფაშა ხსენებუ-ლი ეიალეთის ლაშქრით (აგრეთვე) ალაი ბეგები<sup>22</sup>, ზაიმები<sup>23</sup> და თიმარის<sup>24</sup> მფლობელები და ადგილობრივი მეომრები; აღმოსავლეთ ყარა ჰისარის სანჯაყის განმეობელი მუსტაფა ფაშა მთელი თავისი კარის ხალხით, სამასი შეიარაღებული მოხალისით და ხსენებული ლივის<sup>25</sup> ზაიმები და თიმარის მფლობელები; გონიოს სანჯაყის ბეგი<sup>26</sup> და მეორე ბაზიერთუხუცესი მეშედ ალა მალალი კარის იუნიჩების ყველა მებრძოლის შემადგენლობით ხუთი ოდა;<sup>27</sup> ორა-სი კაცი ჯებეგი<sup>28</sup>, ასი მეზარბაზნე, ორმოცდაათი ზარბაზნების ლა-ფეტების მზიდავი.

ტრაპიზონის ეიალეთში განლაგებული იენიჩების სარდლები თავიანთი მებრძოლებით, გონიოს დასაცავად ჩაყენებული მალალი

კარის იერიჩობი, სამეფო ფლოტის ორი ნიჩბიანი და ორმოცი იალქნიანი გუმი და გირესუნსა და გონიოს შორის მდებარე (ზღვის) ნაპირზე მყოფ მოლაშერეთა ნაწილები და სხვა ხალხი, ყველა ვისაც კი გააჩნია საომარი თოფი;

ჩილდირის მხრიდან აგრეთვე, ჩილდირის ბეგლარბეგი ისპავ ფაშა<sup>29</sup> მთელი თავისი კარის ხალხით, ჩილდირის ეიალეთის ზამები და თიმარის მფლობელები და ალაი ბეგები, ახალციხეში განლაგებული [სამეფო] კარის მეომრებიდან სამასი კაცი დაქვემდებარის ერთ ჩაუშს; აწყურის და ხერთეისის ციხეების აღები<sup>30</sup> მათს გვერდში მყოფი. [დაქვემდებარებული] მოხალისებით, ჩილდირის ეიალეთის ქვეითი მეთოვეები და მხედრები, ასევე [იმ] თოთხმეტი სანჯაყის ბეგებით რომლებიც იურთლუკად და ოჭაკლიკად ითვლებიან მთელი მათი კარის ხალხით;

ყარისის ბეგლარბეგი მუსტაფა ფაშა მთელი მისი, წესრიგში მოყვანილი კარის ხალხით და მისი ეიალეთის კველა ზამი და თიმარის მფლობელი, ყარისის, მაღაზბერდის, გერგანის და კალიზმანის მეციანოვნები და მათს ირგვლივ მყოფი მოხალისების აღები, და ხსენებულ ეიალეთში მდებარე თხუთმეტი სანჯაყის ბეგი;

არზალუმის ეიალეთში მდებარე ცხრა სანჯაყის ბეგი და ალაი ბეგი, [აგრეთვე] ზამები და თიმარის მფლობელები და ქილის, კალიზმანის\*, ბაიაზეთის და ალაშერტის სანჯაყების ბეგები.

ტ. II, გვ. 580—581.

### 1115 (1703 წლის 17.V—1704 წლის 5.V) ჯელი ჯებეჯიების თავყრილობა ნარჩენი ჯამაგირის მოკოვების მიზნით

როდესაც იენიჩების თოხი ოდა და ორასი, ცხენებზე შესაჭდომად გამზადებული ჯებეჯი, რომლებსაც ბეღნიერების სატახტოდან [სტამბოლიდან] ნაბრძანები ჰქონდათ საქართველოზე ლაშექრობა რაზეც ზემოთ იყო საუბარი, [მათ წასაყვანად სტამბოლის ნავსადგურში ჩამომდგარ] გემებზე ნაწილდებოდნენ, ხსენებული ორასი ჯებეჯი, ერთ ჯგუფად შეკრებილნი, ჯებეჯი ბაშისთან<sup>31</sup> და მათ კერის ქეთხუდასთან მივიღნენ და განაცხადეს: ვინაიდან ლაშექრობას გვავალებთ, ავანსად უნდა შოგვერ ჩვენი ულფის მეა-

\* აქ შეცდომა უნდა იყოს. კალიზმანი იხსენიება ზემოთაც, ყარისის საბეგლარებოს შემაღლებილობაში.

თედიოდა და აურზაური ატეხეს. როცა [ჯებეგი ბაშიძ და ქეთხედამ] მათ მიუგეს, რომ ჯამაგირს დაუყოვნებლივ გამოგიგზავნით დანიშნულებისამებრ, როგორც კი (სალაშქროდ) გაემართებითო, ჯებეგიებმა ყურად არ იღეს [ასეთი პასუხი] და ამის შემდეგ, ათ მეოდანზე<sup>32</sup>, ფაზლი ფაშას სასახლის წინ, ამბოხების და შფოთის დროშა აღმართეს. ვიდრო ჩევნი ჯამაგირის მეათედი წინასწარ არ მოგვეცემა, ამ ადგილიდან ფეხს არ მოვიცვლითო. [ჯებეგიებმა] თავი აიშვეს და გაჯიუტდნენ.

